UDC 32
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-1-233-240

ჩინეთ-აშშ-ის ურთიერთობების თავისებურებები

თამარ მუჯირი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: mujiri.tamar@gtu.ge

რეცენზენტები:

ა. კიკნაძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

E-mail: a_kiknadze@gtu.ge

თ. კიკნაძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

E-mail: tamara_kiknadze@yahoo.com

ანოტაცია. სტატიაში განხილულია ჩინეთ-აშშ-ის ურთიერთქმედება ჩინეთის მოქმედი სახელმწიფო მეთაურის - სი ძინფინგის ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე. გაანალიზებულია ბ. ობამას, დ. ტრამპისა და ჯ. ბაიდენის ადმინისტრაციების პოლიტიკის თავისებურებები ჩინეთთან მიმართებით. წარმოჩენილია ჩინეთის პოზიცია და საგარეო პოლიტიკის ძირითადი კონცეფციები. გაანალიზებულია ჩინეთ-ამერიკის უთანხმოების ძირითადი ფაქტორები. ურთიერთობის გამწვავების ორ მთავარ მიზეზად განსაზღვრულია გეოპოლიტიკური მეტოქეობა ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონში და ტაივანის საკითხი. განხილულია ჩინეთ-აშშ-ს შორის კონფლიქტის საფრთხეები და დაძაბულობის შენელებისთვის აუცილებელი ფაქტორები..

საკვანძო სიტყვები: ტაივანის საკითხი; ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონი; სი ძინფინგის საგარეო პოლიტიკა.

შესავალი

ჩინეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკა ოთხ ძირითად მიმართულებად იყოფა: დიდი სახელმწიფოების დიპლომატია, მეზობელი სახელმწიფოების დიპლომატია, განვითარებადი ქვეყნების დიპლომატია და მრავალმხრივი დიპლომატია [1]. დიდი

სახელმწიფოების დიპლომატია გულისხმობს ჩინეთის ურთიერთობას შეერთებულ შტატებთან, რუსეთთან და ევროკავშირთან, რომელთა შორის ყველაზე საკვანძო არის პირველი. გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს. რეფორმებისა და გახსნილობის ინიციირებიდან დღემდე, ჩინეთ-აშშ-ის ურთიერთობები პოლიტიკური პერიპეტიების სიმრავლით ხასიათდება, თუმცა ისინი ჯერჯერობით პირდაპირი კონფლიქტის თავიდან აცილებას ახერხებენ. დღეს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა განსაკუთრებით რთული და დაძაბულია, რაც იდეოლოგიური, უსაფრთხოების, ეკონომიკური და სხვა მრავალი ფაქტორით არის გამოწვეული. ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის შესაძლებლობა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო სისტემას. თუ შეერთებული შტატები ჩინეთს ისე მიუდგება, რომ სამხედრო კონფლიქტი გარდაუვალი გახდება, ამას შედეგად მოჰყვება არმიების გაძლიერება, გამალებული შეიარაღება, ურთიერთდათმობაზე უარის თქმა და საბოლოოდ, ეს აუცილებლად რეალობად იქცევა. ამიტომ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საერთაშორისო სისტემისა და ზოგადად, კაცობრიობის მომავალს. წინამდებარე სტატიაში განხილულია ჩინეთ-აშშ-ის ურთიერთობა ჩინეთის მოქმედი სახელმწიფო მეთაურის, სი ძინფინგის ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე. სტატიაში გაანალიზებულია ჩინეთ-ამერიკის უთანხმოების ძირითადი ფაქტორები. ურთიერთობის გამწვავების ორ მთავარ მიზეზად განსაზღვრულია გეოპოლიტიკური მეტოქეობა ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონში და ტაივანის საკითხი.

ძირითადი ნაწილი

2013 წელს ჩინეთის სახელმწიფოს სათავეში სი ძინფინგის მოსვლით, დენ სიაოპინის „ჩრდილში ყოფნის“ სტრატეგია დასრულდა. [2] „ჩინელი ერის დიადი აღორძინება“ და ეკონომიკური მდგომარეობის საპირწონე პოლიტიკური ძალაუფლების მიღწევა ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის მიზნად იქცა. სი ძინფინგი „დიდი ძალის დიპლომატიაზე“ გადავიდა. ჩინეთი გლობალურ საკითხებში გააქტიურდა, რისი ნათელი დადასტურებაცაა „სარტყლისა და გზის“ ინიციატივა და მის ფარგლებში შექმნილი ახალი ინსტიტუტები. შეერთებული შტატების მიმართ, მან „დიდ სახელმწიფოებს შორის ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობების“ კონცეფცია შეიმუშავა, რომელიც კონფლიქტისა და კონფრონტაციის თავიდან აცილებას და ურთიერთპატივისცემასა და საერთო სარგებელზე აკეთებს აქცენტს [3], თუმცა, მის მიერ შემოთავაზებულმა წინადადებამ ვერ იმუშავა.

ტერორიზმის წინააღმდეგ ომის დასრულებით, სამხრეთ და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში განვითარებული მოვლენებით, მსოფლიო ფინანსური კრიზისით, ორ ქვეყანას შორის მეტოქეობა თანდათან გამოიკვეთა. ბ. ობამას ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული „აღმოსავლეთ აზიის სტრატეგიით“ (Pivot to Asia), ამერიკის საგარეო პოლიტიკა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ჩინეთის მზარდი ძალის დაბალანსებაზე ორიენტირდა [4, გვ. 145-146] მცდელობის მიუხედავად, მხარეებმა ვერ შეძლეს წინააღმდეგო-

ბების დაძლევა. მომდევნო წლებში, განსაკუთრებით კი დ. ტრამპის პრეზიდენტობისას, ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები თანდათან ჩამოიშალა.

2017 წელს ტრამპის ადმინისტრაციის (2017-2021) ხელისუფლებაში მოსვლით, ჩინეთ-აშშ-ს შორის კონკურენცია ანტაგონისტურ მეტოქეობაში გადაიზარდა [5, გვ. 52]. ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში, ვაშინგტონის საგარეო კურსი და ჩინეთთან დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ტრამპის მიერ ტაივანის ლიდერთან სატელეფონო საუბრით დაწყებული, ჩინეთ-ამერიკას შორის დაპირისპირება თანდათან გაღრმავდა. თეთრი სახლის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში, ჩინეთი „რევიზიონისტულ ძალად“ და ამერიკის „სტრატეგიულ მეტოქედ“ განისაზღვრა [6]. ორმხრივ ურთიერთობებს განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა ტრამპის მიერ ჩინეთის წინააღმდეგ გაჩაღებულმა სავაჭრო ომმა. თუმცა, მეორე მხრივ, მისმა იზოლაციონისტურმა და პროტექციონისტულმა პოლიტიკამ ჩინეთს გლობალურ პოლიტიკასა და საერთაშორისო სისტემაში მეტად გააქტიურების საშუალება მისცა. ტრამპის „ამერიკის პირველობის“ (America First) და „ამერიკისთვის დიდების დაბრუნების“ (Make America Great Again) კამპანიებმა ობამას საგარეო პოლიტიკური კურსიდან მკვეთრი გადახვევა გამოიწვია. შეერთებულმა შტატებმა გლობალურ საკითხებში წამყვანი როლიდან უკან დაიხია. იგი გავიდა კლიმატის ცვლილებაზე პარიზის შეთანხმებიდან, ირანთან ბირთვული გარიგებიდან და ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობიდან. ამან პეკინს ვაშინგტონის უკან დახევით შექმნილი ვაკუუმის შევსების საშუალება მისცა. მაგალითისთვის, ამერიკის მიერ ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის (TPP) დატოვების შემდეგ, პეკინმა რეგიონის 15 ქვეყანასთან „ყოვლისმომცველი რეგიონული ეკონომიკური პარტნიორობის“ (RCEP) შეთანხმება გააფორმა. ეს ყველაზე დიდი სავაჭრო ბლოკია, რომელიც მსოფლიო მოსახლეობის და მშპ-ის თითქმის მესამედს აერთიანებს [7]. ეს შეთანხმება „სარტყლისა და გზის“ ინიციატივასთან ერთად, რეგიონში ჩინეთის სავაჭრო ლიდერობას უზრუნველყოფს.

სავაჭრო ომის გარდა, გლობალურმა პანდემიამაც უარყოფითი გავლენა იქონია ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობაზე. პანდემიას ჩინეთმა მასობრივი ჩაკეტვებით უპასუხა, რამაც ქვეყნის ეკონომიკა დაამუხრუჭა და მიწოდების გლობალურ ჯაჭვებს პრობლემა შეუქმნა. კორონავირუსის წარმოშობის საკითხის პოლიტიზებამ ჩინეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობა კიდევ უფრო გაზარდა. საბოლოო ჯამში, კოვიდ-19-მა და მასთან დაკავშირებულმა პოლიტიკამ, ჩინეთს როგორც რეპუტაციული, ისე დიდი ეკონომიკური ზიანი მიაყენა, რომლის გამოსწორებას ჩინეთის მთავრობა დღემდე ცდილობს.

იმის მიუხედავად, რომ ბაიდენის ადმინისტრაციამ (2021) ტრამპის პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებები შეცვალა და ამერიკა კვლავ აქტიურად ჩაერთო გლობალურ დღის წესრიგში (მაგალითისთვის ამერიკა კვლავ შეუერთდა პარიზის შეთანხმებას, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს და ა.შ.) [8], მან ჩინეთთან კონფრონტაციული ხაზი გააგრძელა. აშშ-ის 2022 წლის „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში“ ჩინეთი მოხსენიებულია, როგორც ერთადერთი მეტოქე, რომელსაც აქვს ეკონომიკური, დიპლომატიური, სამხედრო და ტექნოლოგიუ-

რი ძალა საერთაშორისო წესრიგის შესაცვლელად. დოკუმენტში ჩინეთი აღიარებულია, როგორც ამერიკისთვის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური გამოწვევა, მეტოქეობის ცენტრად კი ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონი არის განსაზღვრული, სადაც ამერიკული მხარის მიხედვით, ჩინეთი ცდილობს გავლენის სფეროს შექმნას მსოფლიოს წამყვან ძალად გასახდომად [9, გვ. 8, 11, 23].

მართლაც, ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონი არის ჩინეთ-ამერიკის დაპირისპირების მთავარი ადგილი. რეგიონი სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. იგი მოიცავს დედამიწის მოსახლეობის ნახევარს და გლობალური ეკონომიკის ერთ მესამედს. დღეს ამერიკის სტრატეგია ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონში ჩინეთის შეკავებისკენ არის მიმართული [10]. მოკავშირეებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ინიციატივების შემოღებით, იგი მიზნად ისახავს ჩინეთის ეკონომიკური და სამხედრო განვითარების შეზღუდვას და ტაივანის შემოერთებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცდელობის ჩაშლას. მის მიერ ინიციირებული AUKUS-ის უსაფრთხოების ალიანსი (ავსტრალიას, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ს შორის) და QUAD - ოთხმხრივი უსაფრთხოების დიალოგი (აშშ-ს, იაპონიას, ავსტრალიასა და ინდოეთს შორის), შეერთებულ შტატებს საშუალებას აძლევს გააღრმაოს სამხედრო თანამშრომლობა თავის მოკავშირეებთან რეგიონში. აშშ ეკონომიკის მიმართულებითაც ცდილობს რეგიონში გააქტიურებას. 2022 წლის მაისში, ბაიდენმა ასეანის შეხვედრას უმასპინძლა, რასაც მოჰყვა მისი აზიური ტურნე, რა დროსაც მან ახალი ეკონომიკური ბლოკის - ინდოეთ-წყნარი ოკეანის ეკონომიკური ჩარჩოს შექმნის შესახებ ისაუბრა. თუმცა, დიდი კონკურენციის მიუხედავად, ჩინეთის ეკონომიკური ძალაუფლება იზრდება.

თავის მხრივ, ჩინეთი საფრთხედ აღიქვამს ამერიკის ქმედებებს. ჩინეთის პერსპექტივიდან, ამერიკის ინდოეთ-წყნარი ოკეანის სტრატეგია მიზანმიმართულია რეგიონში ნატოს მსგავსი ბლოკის შექმნისაკენ, რაც აღრმავებს დაპირისპირებას და აზიანებს რეგიონის ინტეგრაციის პროცესს [11]. პეკინის მწვავე კრიტიკა მოჰყვა 2023 წლის მარტში AUKUS-ის ალიანსის ფარგლებში მიღწეულ საზღვაო შეთანხმებას, რომლითაც ავსტრალია ატომურ ენერგიაზე მომუშავე წყალქვეშა ნავებს მიიღებს. პეკინის შეფასებით, ეს არღვევს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, ხელს უწყობს გამალებულ შეიარაღებას და ზრდის რეგიონში კონფლიქტის ალბათობას [12]. ამერიკის და მისი მოკავშირეების ქმედებები ჩინეთის ლიდერების მიერ აღიქმება როგორც ჩინეთის შევიწროების მცდელობა. ჩინეთი ამერიკას სულ უფრო ხშირად ადანაშაულებს „ცივი ომის მენტალიტეტსა“ და ბლოკურ დაპირისპირებაში. შესაბამისად, ჩინეთი ცდილობს რეგიონში ამერიკის დომინანტობის აღმოფხვრას და სინოცენტრული ალტერნატივის შექმნას ისეთი ინიციატივებით, როგორიცაა „სარტყელი და გზა“, აზიის ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ბანკი და ახალი განვითარების ბანკი და ისეთი კონცეფციებით, როგორიცაა „გლობალური განვითარების“ [13], „გლობალური უსაფრთხოების“ [14] და „გლობალური ცივილიზაციის“ ინიციატივები [15]. ეს სამი ინიციატივა ბოლო პერიოდში ჩინური მხარის მიერ შემუშავებული იდეოლოგიური ტრია-

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

დაა. სამივე ხაზს უსვამს სუვერენიტეტისა და განვითარების გზების მრავალფეროვნების მნიშვნელობას. ეს კონცეფციები საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავიგოთ ჩინეთის მმართველი პარტიის ხედვა კულტურულ ღირებულებებსა და რბილ ძალაზე, რომლის მთავარი იდეური საფუძველი არის ჩინეთის 5000-წლიანი უნიკალური ისტორია და კულტურული ტრადიციები. ისტორიულად, ჩინეთს ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონდა რეგიონში. ამიტომ ჩინეთის ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების პარალელურად პოლიტიკური ძალაუფლების ზრდა, რათა წარსულს ჩაბარდეს „ეროვნული სირცხვილის ასი წელი“[1] და აღდგეს მისი, როგორც რეგიონის ლიდერის ფუნქცია.

რეგიონში გეოპოლიტიკური დაპირისპირების გარდა, ტაივანის საკითხი არის ჩინეთ-აშშ-ს შორის ურთიერთობების გამწვავების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი [16]. მიუხედავად იმისა, რომ 1979 წელს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით, შეერთებულმა შტატებმა „ერთი ჩინეთის“ პრინციპი აღიარა და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესი დასრულდა, იმავე წელს აშშ-ის კონგრესმა ტაივანთან ურთიერთობის აქტი მიიღო (Taiwan Relations Act), რომელიც ვაშინგტონს თაიპეისთან სავაჭრო, კულტურული და სხვა არაფორმალური ურთიერთობების გაგრძელების და, რაც მთავარია, კუნძულისთვის თავდაცვითი იარაღის მიყიდვის საშუალებას აძლევს. ტაივანის სრუტეში მიმდინარე პროცესები არაერთხელ გამხდარა ორმხრივი ურთიერთობების გაუარესების მიზეზი. 2022 წლის ზაფხულში, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერის ნენსი პელოსის ვიზიტს თაიპეიში, ჩინეთმა ტაივანის სრუტეში ორკვირიანი სამხედრო წვრთნებით, დიპლომატიური პროტესტით, სანქციებითა და სხვა ღონისძიებებით უპასუხა. პეკინის მხრიდან ასევე მძაფრი რეაქცია მოჰყვა 2023 წლის აპრილში ტაივანის ლიდერის ცაი ინგ-ვენის „ტრანზიტით ვიზიტს“ შეერთებულ შტატებში, რა დროსაც იგი პელოსის მემკვიდრეს კევინ მაკკარტისა და სხვა მაღალჩინოსნებს შეხვდა. სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა ჩინეთის მთავარი ეროვნული ინტერესია. აქედან გამომდინარე, საგარეო ურთიერთობებში „წითელი ხაზი“, რომლის გადაკვეთასაც ჩინეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს არის ტაივანთან, ტიბეტთან, სინძიანგთან და ჰონკონგთან დაკავშირებული საკითხები. ამ „წითელი ხაზის“ გადაკვეთას მყისიერად მოსდევს მძაფრი რეაქცია და ძალის დემონსტრირება.

ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობებში კიდევ მრავალი უთანხმოების ფაქტორი ფიგურირებს. რ. გ. სატერი ორ ქვეყანას შორის არსებულ უთანხმოებებს ოთხ კატეგორიად აჯგუფებს. ჩინური მხარისთვის ესენია: აშშ-ის მხრიდან ჩარევა ტაივანის და სუვერენიტეტთან დაკავშირებულ სხვა სენსიტიურ საკითხებში (ტიბეტი, სინძიანგი, ტერიტორიული დავები); აშშ-ის მიერ ჩინეთის პოლიტიკური სისტემის შეცვლის პოტენციური მცდელობა; აშშ-ის სტრატეგიული და სამხედრო აქტივობა ჩინეთის

[1] „ეროვნული სირცხვილის ასი წელი“ (百年国耻) - ასე უწოდებენ პერიოდს ოპიუმის პირველი ომიდან მეოცე საუკუნის შუა წლებამდე, როდესაც ჩინეთი „ნახევრად კოლონიურ“ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რადგან მისი ტერიტორიები დასავლეთის ქვეყნებსა და იაპონიას ჰქონდა დაპყრობილი.

პერიფერიაში; აშშ-ის წამყვანი როლი გლობალურ დღის წესრიგში. ამერიკული მხარისთვის ესენია: ეკონომიკური (სავაჭრო დეფიციტი, ჩინური მხარის სავალუტო პოლიტიკა, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული პოლიტიკა და სხვ.), პოლიტიკური (ადამიანის უფლებები, დემოკრატია და მისთ.), სუვერენიტეტთან დაკავშირებული (ტაივანის, ტიბეტის, ჰონკონგის და სინძიანგის სტატუსი, საზღვაო დავები) და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული (ჩინეთის მიერ ისეთი ქვეყნების მხარდაჭერა, როგორიცაა ჩრდილოეთ კორეა, სუდანი და მისთ.) უთანხმოებები [4, გვ. 5-6].

დასკვნა

ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობა მრავალგანზომილებიანია. მათი ინტერესები ეკონომიკის, დიპლომატიის, უსაფრთხოებისა და სხვა სფეროებში ერთმანეთს კვეთს, ამიტომ მათი ურთიერთობა კონკურენციისა და თანამშრომლობის ნაზავია. ცივი ომის დასრულების შემდეგ, ჩინეთ-ამერიკის ინტერაქცია კრიზისებისა და ურთიერთობების დარეგულირების მონაცვლეობით ხასიათდება. თუმცა, ბოლო წლებში ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის ზრდა და პოტენციური კონფლიქტი საფრთხეს უქმნის საერთაშორისო სისტემას. ამერიკელები ჩინეთს აღიქვამენ, როგორც მზარდ ძალას, რომელიც პოტენციურად საფრთხეს უქმნის შეერთებული შტატების უპირატესობას გლობალურ წესრიგში, ხოლო ჩინელები აშშ-ის ქმედებებს აღიქვამენ, როგორც მისი შეკავების და მისი პოლიტიკური სისტემის საბოტაჟის მცდელობას.

ურთიერთობების დარეგულირება და ფართომასშტაბიანი კონფრონტაციის თავიდან აცილება ორივე ქვეყნის ინტერესშია. გლობალიზაციის პროცესი მხოლოდ ეკონომიკურად და კულტურულად კი არ აახლოებს ქვეყნებს ერთმანეთთან, თანამედროვე ეპოქაში გამოწვევები და კრიზისებიც ტრანსნაციონალურ ხასიათს იძენს. ამის კარგი მაგალითია კოვიდ-19 პანდემიით, კლიმატის ცვლილებითა და მიწოდების ჯაჭვების არასტაბილურობით გამოწვეული პრობლემები. ტრანსნაციონალური პრობლემების დასაძლევად მრავალმხრივი და დეპოლიტიზებული მიდგომაა აუცილებელი, რაშიც წამყვანი როლი დიდ სახელმწიფოებს ეკისრებათ. გლობალურ ზრდასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საერთო მიზნებზე ფოკუსირებით, ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ პოზიტიურ ურთიერთქმედებასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც მომგებიანია როგორც ორივე მხარისთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის. დიპლომატიური ძალისხმევით ორ ქვეყანას შორის პოზიტიური ინტერაქციის მაგალითები უკვე არსებობს. ჩინეთმა და ამერიკამ წარსულში შეძლეს საერთო ენა გამოენახათ ისეთი გლობალური პრობლემების დასარეგულირებლად, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ებოლავირუსის გავრცელება, ირანის ბირთვული შეიარაღება. ამ ორ დიდ მოთამაშეს შორის თანამშრომლობის გარეშე, გლობალური პრობლემების მოგვარება წარმოუდგენელია. როგორც აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა აღნიშნა, შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთმა უფრო სრულყოფილად უნდა გაუგონ ერთმანეთს და განავითარონ ისეთი ურთიერთობა,

რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობასა და პროგრესს მსოფლიოში [17]. სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში ორ ქვეყანას შორის განსხვავებები ვერ აღმოიფხვრება. ჩინეთ-ამერიკის სტრატეგიული კონკურენცია დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ მთავარია, რომ კონკურენცია კონფრონტაციაში არ გადაიზარდოს.

ლიტერატურა

1. Yang, J. (2021). *Foreign Affairs Work Since the Founding of The Communist Party of China: A Century of Glorious Achievements and A Future of Bright Prospects*. https://yizhiyoudao.kuaizhan.com/12/2/p829900770cb237.
2. Yan, X. (2014). From Keeping a Low Profile to Striving for Achievement. *Chinese Journal of International Politics,* 7 (2), 153-184.;
3. Xinhua News Agency (2019). *Xi Jinping: Building a new type of major-country relationship between China and the United States.* Retrieved from: http://cn.chinadiplomacy.org.cn/2019-09/23/content_75227157.shtml
4. Sutter, R.G. (2018). *US-China Relations Perilous Past Uncertain Future Third Edition*.;
5. Shambaugh, D. (2020). *China & the World*. USA: Oxford University Press.;
6. Wang, J., Hu, R. (2019). From cooperative partnership to strategic competition: a review of China-U.S. relations 2009-2019. *China International Strategy Review, 1,* 1-10.;
7. The Guardian (2020). *China and 14 Asia-Pacific countries agree historic free trade deal*. Retrieved from: https://www.theguardian.com/business/2020/nov/15/china-and-14-asia-pacific-countries-agree-historic-free-trade-deal
8. Council on Foreign Relations (2021). *Biden's First Foreign Policy Move: Reentering International Agreements*. Retrieved from: https://www.cfr.org/in-brief/bidens-first-foreign-policy-move-reentering-international-agreements
9. The White House (2022). *National Security Strategy*. Retrieved from: https://www.whitehouse.gov/wp-content/uploads/2022/10/Biden-Harris-Administrations-National-Security-Strategy-10.2022.pdf
10. The White House (2022). *Indo-Pacific Strategy of the United States*. Retrieved from: https://www.whitehouse.gov/wp-content/uploads/2022/02/U.S.-Indo-Pacific-Strategy.pdf
11. China's Diplomacy in the New Era (2023). *US 'Indo-Pacific Strategy' seeks to form exclusive blocs to stir up confrontation: Chinese FM*. Retrieved from: http://en.chinadiplomacy.org.cn/2023-03/08/content_85152318.shtml
12. The Guardian (2023). *Path of error and danger': China angry and confused over Aukus deal*. Retrieved from: https://www.theguardian.com/world/2023/mar/16/outrage-confusion-china-reaction-aukus-deal
13. Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China (2021). *Global Development Initiative — Building on 2030 SDGs for Stronger, Greener and Healthier Global Development (Concept Paper).*
14. China's Diplomacy in the New Era (2023). *Full text: The Global Security Initiative Concept Paper*. Retrieved from: http://en.chinadiplomacy.org.cn/2023-02/21/content_85117856.shtml
15. Global Times (2023). *Xi proposes Global Civilization Initiative, stressing inclusiveness*. Retrieved from: https://www.globaltimes.cn/page/202303/1287326.shtml
16. Blackwill, R. D., Zelikow, Ph. (2021). *The United States, China, and Taiwan: A Strategy to Prevent War*. Council on Foreign Relations. Retrieved from: https://www.cfr.org/report/united-stateschina-and-taiwan-strategy-prevent-war
17. China's Diplomacy in the New Era (2023). *US, China must understand each other 'more fully': Kissinger*. Retrieved from: http://en.chinadiplomacy.org.cn/2023-01/23/content_85071892.shtml

UDC 32
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-1-233-240

Characteristics of China-US Relations

Tamar Mujiri Academical Department of Politics and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: mujiri.tamar@gtu.ge

Reviewers:

K. Kiknadze, Doctor of Political Sciences, Professor, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: a_kiknadze@gtu.ge

T. Kiknadze, Doctor of Political Sciences, Professor, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: tamara_kiknadze@yahoo.com

Abstract. The interaction between China and the US is examined since the current head of the Chinese state – Xi Jinping – came to power. The separate characteristics of the China policies adopted by the Obama, Trump and Biden administrations are examined. China's position and main concepts of foreign policy are discussed as well. The main factors of disagreements between China and the US are discussed. The geopolitical rivalry in the Indo-Pacific region and the Taiwan issue are defined as the two main reasons for the escalation of relations. The dangers of the conflict between China and the US and the necessary factors to reduce the tension are examined.

Keywords: Indo-Pacific region; Taiwan issue; Xi Jinping's foreign policy.

განხილვის თარიღი 04.01.2024
შემოსვლის თარიღი 25.01.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.03.2024